ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-50997/07

"18" 02 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი – ჩუღურეთი), ურიცკის ქუჩა №26/ურიცკის ქ. №24-ში (საკ. კოდი №01.16.06.069.018) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმრო) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2418224 05.02.2016წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2432718 15.02.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი – ჩუღურეთი), ურიცკის ქუჩა №26/ურიცკის ქ. №24-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი „ა-თ" : ± 0.00 ნიშნულზე „ა-ა" ღერძთან შეცვლილია სარეკლამო წარწერა. შეცვლილია ლითონის ცხაურის გაბარიტი.

ფასადი „1-6" : დამატებით მოწყობილია საჰაეროები.

ფასადი „თ-ა": გაუქმებულია ფრანგული აივნის მოაჯირის ქვეშ მდებარე ფილები. +11.85 ნიშნულზე მილკვადრატების მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს.

-0.15 ნიშნული: ეზოში მოწყობილია ბუხარი, თონე და მსუბუქი გადახურვა. გაზრდილია „დ-დ" ღერძის გარეთ „1-2" მონაკვეთში საქვაბეს კედლის სიგრძე.

+11.15 ნიშნული: „ა-ა" ღერძთან დამატებით მოწყობილია გამწოვი შახტა. შეცვლილია „დ-დ" ღერძთან მდებარე შახტის გაბარიტი. შემცირებულია „5-5" ღერძში და „1-2" მონაკვეთში კაპიტალური მოაჯირის სიგრძე. შეცვლილია ფანჯრისა და ვიტრაჟის გაბარიტი.

+14.75 ნიშნული: შეცვლილია მსუბუქი გადახურვის გაბარიტები და ნახატი. „1-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია აგრეგატები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ვაუ"-ს, ვასილ ჯალაღონიას, ქ. თბილისში, (სექტორი – ჩუღურეთი), ურიცკის ქუჩა №26/ურიცკის ქ. №24-ში (საკ. კოდი №01.16.06.069.018) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმრო) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №50997/12 15.02.2016წ.
№51626/12 15.02.2016წ. განცხადებები.



სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010180256415216

№16/37003 **19 / თებერვალი / 2016 წ.**

შპს ვაუ.

საქართველო, ქ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ. #4

ქალბატონო ვასილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #25799/12 და 51626/12 განცხადებების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი „ 2” (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე